საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გიორგი IV გურიელი

გიორგი IV გურიელი, გურიის მთავარი 1711–26 (დროგამოშვებით), მამია III გურიელის ძე.

1711 გურიელად დასვა მამამისმა, რ-იც მაშინ იმერეთის მეფე იყო. 1712–14 ტახტი წაართვა ძმამ – ლევან გურიელმა. 1716 გიორგი იმერეთში გაამეფა ჯარით შემოსულმა ახალციხის ფაშამ, მაგრამ მალე იძულებული გახდა გურიაში დაბრუნებულიყო. 1717 გააძევა ძმამ – ქაიხოსრო III გურიელმა, თუმცა ოსმალთა დახმარებით ტახტი მალევე დაიბრუნა. იმავე წელს (1717) ბეჟან დადიანმა გააძევა სამთავროდან. ამჯერადაც მაშინვე შეძლო ძალაუფლების აღდგენა.

გ. IV გ-ს ახლო კავშირი ჰქონდა ვახტანგ VI-თან და მისი შემწეობით ცდილობდა ოსმალთა მიერ მიტაცებული ბათუმ-ჩაქვის მხარეთა დაბრუნებას. მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. 1723 ოსმალებმა დაიკავეს ციხისძირის, ქობულეთის, შეკვეთილის, სეფისა და გრიგოლეთის ციხეები და გურია ზღვას მოსწყვიტეს.

ლიტ.: იხ. სტ-თან გ ი ო რ გ ი V გ უ რ ი ე ლ ი.

ქ. ჩხატარაიშვილი